



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვაციწვერიანი

ვაციწვერიანი, მცენარეთა დაჯგუფება, რომელსაც ქმნის ვაციწვერა. გავრცელებულია საქართველოს აღმ. რაიონების ბარსა და სამხრ. მთიანეთში, ზეგნებზე (ჭავახეთი, თრიალეთი, ზურტაკეტი). აქ ვ-ები ან ტიპურ ველებს ქმნიან, ან მათი კომპონენტებია. ბარში აღსანიშნავია გარეჯის ვ. ველები, რ-ებიც შეთავსებულია უროიან ველებთან. აქ ვაციწვერასთან ყოველთვის ხარობს ურო, წივანა და სხვ. ვ-ის უფრო ქსეროფილურ ვარიანტებს ქმნის პონტური ვაციწვერა (*Stipa pontica*) და ლესინგის ვაციწვერა (*Stipa lessingiana*); ხშირია წურწუმას (*Stipa ca pillata*) დაჯგუფებებიც, რ-ებიც ჩრდ. კავკასიაში ბამთრის საძოვრების ქვიშნარ ნიადაგზე იზრდება. მთის ველებიდან სამხრ. მთიანეთის ზეგნებზე (ზ. დ. 1800 - 2100 მ-მდე) გვხვდება ვაციწვერიან-წივანიანი, ხოლო უფრო მაღლა (2500 მ-მდე) - წვრილფოთოლა ვაციწვერას (*Stipa tirsia*) ვ-ები.

**შ. ნახუცრიშვილი**

---